ლტოლვილთა დანიის საბჭო საქართველოში
ყაზბეგის 2ა, 0160, თბილისი, საქართველო
linkedin.com/danish-refugee-council
twitter.com/DRC_dk
facebook.com/drcsouthcaucasus
www.drc.ngo

World Vision საქართველო
დ. უზნაძის #78დ, 0102, თბილისი, საქართველო
info@worldvision.ge
www.worldvision.ge

შვედეთი
Sverige

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

DRC DANISH REFUGEE COUNCIL

World Vision

ერთად
ოჯახების გაძღიერებისთვის

პროექტის სახელწოდება: „ERTAD ოჯახების გაძლიერებისთვის“.

დონორი: შვედეთის მთავრობა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA)

პროექტის ხანგრძლივობა: 48 თვე

სამიზნე რეგიონები: სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და აჭარა

კონსორციუმის წევრები: World Vision გერმანია (WVD), World Vision საქართველო (WVGF), ლტოლვილთა დანიის საბჭო (DRC)

მთავარი პარტნიორი: (MoILHSA) / სოციალური მომსახურების სააგენტო

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს 5 რეგიონში მცხოვრები ოჯახების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და მათ აქტიურ მონაწილეობას სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. პროექტის ბიუჯეტი 5 მილიონ ევროს შეადგენს და UPG (ULTRA-POOR GRADUATION) პრინციპებისა და ღონისძიებების დანერგვის მეშვეობით ცენტრალურ და ადგილობრივ პროგრამებში/სქემებში საქართველოს მთავრობის სიღარიბის დაძლევისკენ მიმართულ ძალისხმევას ეხმიანება.

მოსალოდნელი შედეგები:

- UPG მოდელის დანერგვით გაუმჯობესდება უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური ჩართულობა, მდგრადობა და ტექნიკური უნარები, ცოდნა და შესაძლებლობები არსებულ სოციალურ/ფინანსურ რესურსებსა და ბაზრებზე წვდომისთვის და თემის ჯგუფებსა და ქსელებში მონაწილეობის მისაღებად.
- სამთავრობო პასუხისმგებელი ინსტუტუტები (სააგენტოები) ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე გააძლიერებენ შესაძლებლობებსა და სტრუქტურებს, რათა ხელი შეუწყონ UPG მოდელის დანერგვას შესაბამისი, საქართველოს კონტექტზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსების შექმნით და ადაპტირებით.

პროგრამის პრაქტიკული შედეგები

- ოჯახების მხარდაჭერა, გააქტიურება და ქცევის პოზიტიური ცვლილებების ხელშეწყობა, თითოეულ ოჯახთან 2 წლიანი ინტენსიური მუშაობით, ოჯახების გაძლიერების კონსულტანტებისა და პროექტის დარგობრივი მენტორების აქტიური ჩართულობით.
- საქართველოს კონტექსტზე მორგებული, არსებულ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული, ეფექტური ინსტრუმენტების და საგანმანათლებლო რესურსების შექმნა და საჯარო სერვისების მიმწოდებლების გადამზადება, სიღარიბის დაძლევის კომპლექსური მიდგომის სამომავლო გავრცლებისთვის ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე.

პროგრამის მოსარგებლეები

780 ოჯახი სამიზნე რეგიონებიდან (2 500 პირდაპირი ბენეფიციარი)

39 სოციალური აგენტი - ოჯახის გაძლიერების კონსულტანტი

200-მდე საჯარო მოხელე, რომელიც გადამზადდება მეთოდოლოგიაში